

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის* შეფასების კრიტერიუმები

პირველი კომპონენტი: დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასება რეცენზენტის¹ მიერ

(მაქსიმალური შეფასება – 60 ქულა, დადებითი შეფასება – მინიმუმ 30 ქულა)

კრიტერიუმი	კრიტერიუმის განმარტება	მაქსიმალური ქულა
ნაშრომის აქტუალობა	ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა იყოს აქტუალური და დარგისათვის მნიშვნელოვანი	10
ნაშრომის მეცნიერული სიახლე	ნაშრომი უნდა გამოირჩეოდეს მეცნიერული სიახლით, დოქტორანტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს პრობლემის კვლევაში	10
პრობლემის ადეკვატური გააზრება, ნაშრომის შინაარსობრივი მხარე, მასალის ფლობა	დოქტორანტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა განსახილველ საკითხზე და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა, ფაქტობრივი სიზუსტის დაცვა	10
მსჯელობის არგუმენტირება და ციტირება	დოქტორანტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო მასალით	10
ნაშრომის ორგანიზება, ლოგიკურად აგება და მსჯელობის თანმიმდევრობა, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი	დოქტორანტს მოეთხოვება მსჯელობის თანმიმდევრულობის დაცვა, ციტირების სტილის დაცვა, ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან, დოქტორანტმა უნდა გამოავლინოს მასალის კრიტიკული გააზრების, ფაქტების განზოგადებისა და გაანალიზების უნარი	10
ნაშრომის ენობრივი მხარე	დოქტორანტს მოეთხოვება აზრის ენობრივად ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა და ნაწერის სტილისტურად გამართვა	10

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი არის კვლევითი კომპონენტი და წარმოადგენს დისერტაციის ნაწილს.

¹ დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის რეცენზენტი უნდა იყოს დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევარი.

მეორე კომპონენტი:
დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირი პრეზენტაციის შეფასება¹

(მაქსიმალური შეფასება – 40 ქულა, დადებითი შეფასება – მინიმუმ 20 ქულა)

კრიტერიუმი	კრიტერიუმის განმარტება	მაქსიმალური ქულა
პრეზენტაციის ორგანიზება და შინაარსის რელევანტურობა	ზეპირი გამოსვლის ორგანიზება (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), სათაურთან შესაბამისობა, ფოკუსირება საკვანძო საკითხების წარმოჩენაზე	10
ანალიზისა და დისკუსიის უნარი	ნაშრომში წარმოჩენილი პრობლემის გადაჭრის გზების ანალიზი; აზრის მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; კორექტულობა ოპონენტთა და განსხვავებული აზრის მიმართ.	10
საკომუნიკაციო უნარები	აუდიტორიის ფლობა	5
მეტყველების კულტურა	გამართულად საუბარი, შესაბამისი სტილისა და ტერმინოლოგიის გამოყენება	5
ტექნიკური და ვიზუალური მხარე, რეგლამენტი	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი, რეგლამენტის დაცვა	10

ნაშრომის საბოლოო შეფასება უდრის ორივე კომპონენტის შეფასებების ქულათა ჯამს.
 დადებით შეფასებად ითვლება 51 ქულა და მეტი.

¹ მეორე კომპონენტი ფასდება საჯარო პრეზენტაციაზე შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობით.